ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს კორიდა

2019 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12

Grant Thornton

შპს გრანთ თორნთონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ.+ 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
+ 995 322 604 406

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

შპს კორიდას აქციონერებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს კორიდას("კომპანია") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნის საფუძვლები

აუდიტს წავრმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის ამზაცში სათაურით "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე". ჩვენ დამოუკიდებლები ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ ("IESBA Code") შემუშავებული ეთიკის კოდექსი. ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუდიტორული საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებული მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. აუდიტის ძირითადი საკითხები შერჩეულია იმ საკითხებიდან, რაც განხილული იყო მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან, თუმცა არ მოიცავს ყველა საკითხს, რაც მათთან იქნა განხილული. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ არის მოდიფიცირებული ქვემოთ მოცემული არცერთი ძირითადი

საკითხის გამო და ჩვენ არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას რომელიმე ამ ინდივიდუალურ საკითხზე.

მარაგების შეფასება

კომპანია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3,019 ათასი ლარის მარაგებს ფლობდა (2018: 2,470 ათასი). კომპანიის მთლიან აქტივებში მარაგების ნაშთის წილის მოცულობის გამო და ქვემოთ აღწერილი შეფასებებისა და მსჯელობების გამო მარაგების შეფასება აუდიტის პროცესში მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვდა.

როგორც ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 3.6-შია აღნიშნული, მარაგები წარდგენილია FIFO მეთოდით აღრიცხულ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება ყოველი წლის ბოლოს გადაიხედება ხელმძღვანელობის მიერ და, თუკი სავარაუდოა, რომ მარაგები მათ თვითღირებულებაზე დაბალი ფასით გაიყიდება, ხდება მარაგების ღირებულების დაწევა.

იმის განსაზღვრა, მარაგები თვითღირებულებაზე დაბალ ფასად გაიყიდება თუ არა ხელმძღვანელობისაგან მსჯელობასა და დაშვებების გამოყენებას მოითხოვს. ხელმძღვანელობა მარაგების ღირებულების შემცირების დონის განსასაზღვრად შემდეგ პროცედურებს იყენებს:

- განიხილავს მარაგების ხანდაზმულობის ანგარიშებს და ისტორტიულ ტრენდებს, რათა შეაფასოს ნელა მოძრავი და მოძველებული მარაგების გაყიდვადობა;
- განიხილავს მარაგების დეტალურ სიას, რათა დარწმუნდეს, რომ მარაგები თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესითაა წარდგენილი და თუ საჭიროა ხდება მარაგების ღირებულების შემცირება და ხარჯის აღიარება;

მარაგების შეფასების სისწორეში დასარწმუნებლად ჩვენ შემდეგი პროცედურები ჩავატარეთ:

- გადავითვალეთ მარაგების თვითღირებულება FIFO მეთოდით და ჩვენი გათვლები შევადარეთ კომპანიის ანგარიშში ასახული მარაგების ნაშთს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- შერჩევის საფუძველზე გადავამოწმეთ ზოგიერთი მარაგის წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გაყიდვების ახალი მონაცემების გამოყენებით;
- მარაგების კატეგორიების შერჩეული ნაწილისათვის გადავხედეთ ბალანსის თარიღის შემდგომ მოგების მარჟებს;
- გადავამოწმეთ, რომ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული მარაგების ხანდაზმულობის რეპორტები სწორად ასახავს მარაგების ვადიანობას. ამისთვის მარაგების შერჩეული ნაწილის ხანდაზმულობა, რაც რეპორტებში აისახებოდა, შევადარეთ მათი შეძენის ბოლო ინვოისებს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება დათარიღებული 2020 წლის 10 სექტემბერს წარმოდგენილია მხოლოდ ქართულ ენაზე.მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა "ბუღალტრული აღრიცვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილი საკითხების შესახებ.

აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგების განხილვა არის მას შემდეგ, რაც იგი ჩვენთვის გახდება ხელმისაწვდომი და ამის შემდგომ გამოვხატავთ აზრს არის თუ არა სხვა ინფორმაცია მატერიალურად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში, ან აუდიტის დროს მიღებულ ინფორმაციასთან,

ან ადგილი თუ ექნება მატერიაულურ უზუსტობებს და წარმოვადგენთ შესაბამის ანგარიშს.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება "ბუღალტრული აღრიცვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი მოსაზრება შემდეგია:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს კანონით მოთხოვნილ ყველა ინფრმაციას.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ კომპანიას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ

პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

- ვერკვევით კომპანიის კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.

- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე	ქეთევან ღამბაშიძე
მმართველი პარტნიორი	დირექტორი, რეგისტრირებული აუდიტორი

10 სექტემბერი, 2020

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	8,190	6,830
არამატერიალური აქტივები	5	194	229
		8,384	7,059
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	3,019	2,470
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3,847	2,092
სხვა მიმდინარე აქტივები		319	564
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	8	101	92
		7,286	5,218
სულ აქტივები		15,670	12,277
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	9	2,150	2,150
გადაფასების რეზერვი	9	1,367	1,092
აკუმულირებული მოგება	9	3,928	3,156
		7,445	6,398
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	10	4,100	2,289
		4,100	2,289
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	2,619	2,343
სესხები	10	1,498	1,240
მიმდინარე მოგების გადასახადი		8	7
		4,125	3,590
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,670	12,277

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 22 ივლისს:

რევაზ ნარმანია — მთავარი აღმასრულებელი პირი

გიორგი თოხაძე — აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

თანდართული შენიშვნები 12-39 გვერდებზე წარმოდგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგება

ათასი ლარი

	შენიშვნა	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი		47,588	35,522
რეალიზაციის თვითღირებულება	12	(33,749)	(24,508)
საერთო მოგება		13,839	11,014
სხვა შემოსავალი		49	114
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	13	(5,630)	(3,412)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,556)	(3,330)
სხვა ხარჯები		(875)	(629)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		3,827	3,757
ფინანსური ხარჯები		(426)	(226)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	15	(312)	(102)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(73)	(213)
მოგება დაბეგვრამდე		3,016	3,216
მოგების გადასახადი		(64)	(123)
წლის წმინდა მოგება		2,952	3,093
წლის სხვა სრული შემოსავალი			
მუხლები რომლებიც მომავალში არ გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალში			
ძირითადი საშუალებების გადაფასება		275	-
მთლიანი სრული შემოსავალი		3,227	3,093

თანდართული შენიშვნები 12-39 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ათასი ლარი	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული მოგება	სულ
2018 წლის 1 იანვარი	700	1,092	3,337	5,129
წლის მოგება	-	-	3,093	3,093
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	-	3,093	3,093
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,450	-	-	1,450
დივიდენდები	-	-	(3,274)	(3,274)
ტრანზაქციები მფლობელებთან	1,450	-	(3,274)	(1,824)
2018 წლის 31 დეკემბერი	2,150	1,092	3,156	6,398
წლის მოგება	-	-	2,952	2,952
სხვა სრული შემოსავალი	-	275	-	275
მთლიანი სრული შემოსავალი	-	275	2,952	3,227
დივიდენდები	-	-	(2,180)	(2,180)
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	-	(2,180)	(2,180)
2019 წლის 31 დეკემბერი	2,150	1,367	3,928	7,445

თანდართული შენიშვნები 12-39 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ათასი ლარი

	შენიშვნა	2019 წელი	2018 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		2,952	3,093
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	4,5	1,260	966
ფინანსური ხარჯი		426	226
მოგების გადასახადის ხარჯი		64	123
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება		(5)	(3)
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	15	312	102
საოპერაციო შედეგი საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე		5,009	4,507
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,755)	(675)
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში		(549)	(1,026)
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში		245	(439)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		276	31
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		3,226	2,398
გადახდილი პროცენტი	23	(391)	(226)
გადახდილი მოგების გადასახადი		(63)	(126)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან		2,772	2,046
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	4	(2,334)	(2,448)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული		26	267
წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(2,308)	(2,181)

თანდართული შენიშვნები 12-39 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება (გაგრძელება)

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კონტრიბუცია საწესდებო კაპიტალში		-	1,450
სესხებიდან მიღებული ფული	23	24,502	18,176
სესხებზე გადახდილი ფული	23	(22,744)	(16,279)
დივიდენდები		(2,180)	(3,274)
წმინდა ფული გამოყენებული საფინანსო (საქმიანობაში)/საქმიანობიდან		(422)	73
ფულის ხელზე და საბანკო ანგარიშებზე ზრდა/(შემცირება)		42	(62)
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	15	(33)	(11)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	8	92	165
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	8	101	92

თანდართული შენიშვნები 12-39 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს კორიდა (შემდგომში "კომპანია" - ყოფილი შპს ნიკორა 7) დაარსდა 2006 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. დაარსების დღიდან კომპანია აწარმოებს ხორცპროდუქტებს და ეწევა მათ დისტრიბუციას. კომპანია ადგილობრივ ბაზარზე ყიდის საკუთარ წარმოებულ და სხვა პროდუქციას.

კომპანიის მთავარი რეგისტრაციის ადგილია საქართველო, ქალაქი ფოთი, მე-7 კილომეტრი.

საქართველოში წარმოდგენილი და რეგისტრირებული კომპანია სს ნიკორა არის შპს კორიდას 100%-ის მფლობელი.

2019 წლის განმავლობაში, კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 360 (2018: 297 თანამშრომელი).

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია უწყვეტი და ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკოტირებული ღირებულებით და ძირითადი საშუალებების ცალკეული ჯგუფებისა, რომლებიც წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ვინაიდან ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ასეთი წარდგენა უფრო მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და

ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-17 შენიშვნაში. ეს შეფასებები ეფუძნება მენეჯმენტის მიმდინარე მოვლენებისა და აქტივობების საუკეთესო ცოდნას, საბოლოოდ კი, რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. შესაბამისად რეალური შედეგები დაკორექტრიდება იმ წელში, როცა წარმოიშვება ახალი გარემოებები.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს კომპანიამ ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება კომპანიის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება აღწერილია ქვემოთ.

ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2019 წლის 1 იანვრიდან

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ანაცვლებს ბასს 17 იჯარას, სამ ინტერპრეტაციასთან ერთად (ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“).

ახალი სტანდარტის მიღებამ კომპანიაში გამოიწვია აქტივის გამოყენების უფლებისა და მასთან დაკავშირებული საიჯარო ვალდებულების აღიარება ყველა წინანდელ საოპერაციო იჯარასთან მიმართებაში, გარდა იმ იჯარებისა, რომელთაც აქვთ დაბალი ღირებულება, ან 12 თვეზე ნაკლები დარჩენილი საიჯარო ვადა თავდაპირველი აღიარების თარიღიდან.

ახალი სტანდარტი გამოყენებულ იქნა რეტროსპექტული მიდგომით. ფასს 16-ის პირველად გამოყენებით გამოწვეული კუმულაციური ეფექტი აღიარებულია კაპიტალში, როგორც მიმდინარე გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება.

სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის გაფორმებული კონტრაქტებისთვის, კომპანიამ გადაწყვიტა, გამოეყენებინა იჯარის განსაზღვრება ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით და არ გამოეყენებინა ფასს 16 იმ გარიგებებისთვის, რომლებიც თავდაპირველად არ იყო აღიარებული, როგორც იჯარა ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით.

კომპანიამ გადაწყვიტა არ ჩაერთო თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები იმ აქტივების გამოყენების უფლების შეფასებაში, რომლებსაც კომპანია ფლობს მოკლევადიანი იჯარისთვის ფასს 16-ის გამოყენების დაწყების თარიღისთვის - 2019 წლის 1-ლი იანვრისთვის. ამ თარიღისთვის, კომპანიამ ასევე აირჩია აქტივების გამოყენების უფლების შეფასება საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით, დაკორექტირებული წინასწარ გადახდილი, ან დარიცხული საიჯარო გადასახდელებით, რომლებიც არსებობდა ოპერაციის თარიღისთვის.

აქტივის გამოყენების უფლებაზე გაუფასურების ტესტირების ნაცვლად, სტანდარტის

პირველადი გამოყენების თარიღისთვის, კომპანია დაეყრდნო თავის ისტორიულ შეფასებებს, ჰქონდა თუ არა იჯარას მნიშვნელოვანი გავლენა ფასს 16-ის პირველადი გამოყენების თარიღამდე.

ახალ სტანდარტზე გადასვლის მომენტისთვის, იჯარებისთვის, რომლებიც მანამდე აღრიცხული იყო, როგორც საოპერაციო იჯარა 12 თვეზე ნაკლები საიჯარო ვადითა და დაბალი ღირებულებით, კომპანიამ გამოიყენა არჩევითი გამონაკლისები არ ეღიარებინათ აქტივის გამოყენების უფლება, არამედ აღერიცხა ისინი საიჯარო ხარჯად წრფივი მეთოდით, დარჩენილ საიჯარო პერიოდზე.

ფასს 16-ის მიღებას არ მოუხდენია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და რომელთა ადაპტირება ჯერ არ მომხდარა კომპანიის მიერ

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასსს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ძალაში შესული და მათი ადაპტირება არ მომხდარა კომპანიის მიერ.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი ცვლილება მიღებულ იქნება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველივე პერიოდისათვის, ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღიდან. მოსალოდნელია, რომ აღნიშნულ სტანდარტებს არ ექნებათ მატერიალური გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსით, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.2095 ლარს. (2018 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6766 ლარი და ერთი ევრო 3.0701 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ფინანსური მდგომარების ანგარიშგებაში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ფულადი მუხლებისთვის ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოებისა და ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული

ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საკმარისი სიხშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულებით შეფასება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება.

გადაფასების რეზერვიდან გადაფასების ნამეტის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება მაშინ, თუ ძირითადი საშუალება გაიყიდა ან სხვა ფორმით შეწყდა მისი აღიარება.

სხვა ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოების მიზნებისთვის, მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად. ფინანსური იჯარით აღებული შენობები ასევე ჩაირთვება ძირითად საშუალებებში. ასეთ აქტივებს ცვეთა ერიცხება მოსალოდნელ სასარგებლოს მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის, თითოეული აქტივის საარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა-ნაგებობები	-	30 წელი
მანქანები-დანადგარები	-	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	-	5 წელი
ტრანსპორტი	-	5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	7-10 წელი
სხვა	-	5 წელი

ვინაიდან მიწის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, შესაბამისი საბალანსო ღირებულებები ცვეთას არ ექვემდებარება.

3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ან ემატება სხვა აქტივის თვითღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით შესაბამისი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომლებიც განსაზღვრულია 5-7 წლით პროგრამული უზრუნველყოფისა და უფლებებისთვის.

3.4 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე ატივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

როცა გაუფასურების ზარალის ანულირება ხდება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანულირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანულირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.5 იჯარა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან

კომპანია, როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი კონტრაქტისთვის, რომელიც გაფორმებულია 2019 წლის 1 იანვარს, ან

შემდეგ, კომპანია განიხილავს არის თუ არა, ან შეიცავს, თუ არა ხელშეკრულება იჯარას. იჯარა განიმარტება, როგორც "ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების სანაცვლოდ." ამ განმარტების თანახმად, კომპანია აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა ხელშეკრულება შემდეგ სამ მთავარ შეფასების კრიტერიუმს:

- შეიცავს თუ არა კონტრაქტი იდენტიფიცირებად აქტივს, რომელიც პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, ან არაპირდაპირი გზით ხდება აქტივის იდენტიფიცირება იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება კომპანიისთვის.
- აქვს თუ არა კომპანიას ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან მთლიანი ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლება აქტივის გამოყენების პერიოდის განმავლობაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების ფარგლებში.
- აქვს თუ არა კომპანიას იდენტიფიცირებადი აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება. აქვს თუ არა უფლება გადაწყვიტოს „როგორ და რა მიზნით“ გამოიყენოს აქტივი მისი ფლობის პერიოდში.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის შემცირებადი ნაშთის მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გაოყენების უფლება წარმოდგენილია ძირითად საშუალებებთან ერთად, ხოლო საიჯარო ვალდებულება - ცალკე.

ფასს 16 - ის მიღებას არ მოუხდენია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია აქტივების გამოყენების უფლებიდან წარმოშობილი აქტივები.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრამდე

კომპანია, როგორც მეიჯარე

ფინანსური იჯარა

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას საიჯარო ხელშეკრულების არსის განხილვისას და გადასცემს თუ არა იგი საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს. განხილული ძირითადი ფაქტორები მოიცავს საიჯარო პერიოდის ხანგრძლივობას აქტივის ეკონომიკურ მომსახურების ვადასთან მიმართებაში, მინიმალური საიჯარო გადასახდელების ახლანდელ ღირებულებას აქტივის სამართლიან ღირებულებასთან მიმართებაში და გადადის თუ არა მფლობელობა კომპანიაზე იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ.

როდესაც იჯარა მოიცავს მიწას და შენობა-ნაგებობებს, იჯარის მინიმალური გადასახადები პირველად გამოიყოფა თითოეულ კომპონენტზე შესაბამისი საიჯარო პროცენტის სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. შემდეგ, თითოეული კომპონენტი ფასდება ცალ-ცალკე, როგორც განსასაზღვრი ფაქტორი, მიეკუთვნება თუ არა იგი ფინანსური იჯარის ნაწილს, იმის გათვალისწინებით, რომ მიწას, როგორც წესი, განუსაზღვრელი ეკონომიკური მომსახურების ვადა აქვს.

საიჯარო გადახდების საპროცენტო ელემენტი ხვდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური ხარჯები იჯარის ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა

ყველა სხვა იჯარა განიხილება როგორც საოპერაციო იჯარა. თუ კომპანია მოიჯარეა, გადახდები საოპერაციო იჯარაზე აღიარდება, როგორც ხარჯი, წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორებიცაა მომსახურებისა და დაზღვევის, აღიარდება პერიოდის ხარჯებად.

3.6 მარაგები

მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. მარაგები

ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალადებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპაანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 18.2.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვული როგორც FVTPL):

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება, ისევე როგორც ბონდები, რომლებიც თავდაპირველად კლასიფიცირებული იყვნენ როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილნი ასს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL)

ფინანსური აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს სხვა ბიზნესში, გარდა აქტივებისა, რომლებიც "შეგროვების" ან "შეგროვების და გაყიდვის" მიზნებისთვისაა ფლობილი, აისახება მოგება/ზარალში რეალური ღირებულებით. განურჩევლად ბიზნეს მოდელისა, ფინანსური აქტივები, რომელთა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდები, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში (FVTPL). ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი მიეკუთვნება ამ კატეგორიას, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია და ეფექტურია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომელთათვისაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვს), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამოიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)

დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვალისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშების დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან ვადაგადაცილების მიხედვით.

ფინასური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. შეჯამება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 18.2- ში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლებისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

3.8 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

3.9 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (საწესდებო კაპიტალის ცვლილების, მფლობელობისა და სხვათა ჩათვლით) მხოლოდ კომპანიის აქციონერის გადაწყვეტილებითა არის შესაძლებელი. მხოლოდ შევსებული კაპიტალი როგორც კომპანიის საწესდებო კაპიტალი, აქციონერის მიერ კომპანიაში შეტანილი წილის ოდენობით.

გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწისა და შენობების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას ან ზარალს.

აკუმულირებული მოგება/(ზარალი) შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებებს.

ყველა ტრანზაქცია რომელიც დაკავშირებულია მშობელი კომპანიასთან აღირიცხება კაპიტალის ცალკე მუხლში.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.10 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება აღარ წარმოიქმნება 2017 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში და არაა წარმოდგენილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.11 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებლ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

(ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;

(ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტინის ანაზღაურებებს;

ბონუსები

მოსალოდნელი ბონუსის ხარჯები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გააკეთოს ასეთი გადახდები წარსული მოვლენების შედეგად და როდესაც შესაძლებელია ამ ვალდებულის საიმედო შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას გადახდის გარდა არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა.

3.12 შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს 5 საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია;
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია;
3. გარიგების ფასის განსაზღვრა;
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე;
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

4. ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი	მიწა	შენობები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობები და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
გადაფასებული ღირებულება									
2018 წლის 1 იანვარი	87	2,514	5,413	1,005	1,172	84	44	1	10,320
შემოსვლა	-	179	1,696	330	237	6	-	-	2,448
გასვლა	-	-	(219)	(152)	(129)	(72)	(44)	-	(616)
2018 წლის 31 დეკემბერი	87	2,693	6,890	1,183	1,280	18	-	1	12,152
შემოსვლა	40	112	1,770	44	341	20	7	-	2,334
გასვლა	-	-	(1)	(4)	(69)	-	-	-	(74)
გადაფასების ნამეტი/(კლება)	26	(14)	-	-	-	-	-	-	12
2019 წლის 31 დეკემბერი	153	2,791	8,659	1,223	1,552	38	7	1	14,424
დაგროვილი ცვეთა									
2018 წლის 1 იანვარი	-	-	3,498	687	488	75	-	-	4,748
წლის ცვეთა	-	131	557	73	163	2	-	-	926
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	(197)	(24)	(68)	(63)	-	-	(352)
2018 წლის 31 დეკემბერი	-	131	3,858	736	583	14	-	-	5,322
წლის ცვეთა	-	132	817	82	180	14	-	-	1,225
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	-	(3)	(47)	-	-	-	(50)
გადაფასების შედეგად კორექტირება	-	(263)	-	-	-	-	-	-	(263)
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	4,675	815	716	28	-	-	6,234
საბალანსო ღირებულება									
2018 წლის 31 დეკემბერი	87	2,562	3,032	447	697	4	-	1	6,830
2019 წლის 31 დეკემბერი	153	2,791	3,984	408	836	10	7	1	8,190

კომპანიის 8,190 ათასი ლარის ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის გამოყენებულია სესხების უზრუნველყოფისთვის. (2018 წლის 31 დეკემბერი: 6,830 ათასი ლარი). (იხ. შენიშვნა 10).

კომპანიის მიწის ნაკვეთები და შენობები კომპანიამ შეაფასა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ. გადაფასების ნამეტი აღიარებულია გადაფასების რეზერვის მუხლში.

მიწა და შენობები წარმოდგენილი რომ ყოფილიყო ისტორიული ღირებულებით, მათი საბალანსო ღირებულება ანგარიშგების თარიღისთვის იქნებოდა 1,577 ათასი ლარი და 1,557 ათასი ლარი, შესაბამისად.

ცვეთის ხარჯი დარიცხულ იქნა შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
გაყიდული საქონლის თვითღირებულება (იხ. შენიშვნა 12)	860	555
ადმინისტრაციული ხარჯები (იხ. შენიშვნა 14)	365	371
	1,225	926

5. არამატერიალური აქტივები

ათასი ლარი	პროგრამული უზრუნველყოფა	უფლებები	სულ
თვითღირებულება			
2018 წლის 1 იანვარი	138	166	304
2018 წლის 31 დეკემბერი	138	166	304
2019 წლის 31 დეკემბერი	138	166	304
დაგროვილი ამორტიზაცია			
2018 წლის 1 იანვარი	34	1	35
წლის ამორტიზაცია	25	15	40
2018 წლის 31 დეკემბერი	59	16	75
წლის ამორტიზაცია	14	21	35
2019 წლის 31 დეკემბერი	73	37	110
საბალანსო ღირებულება			
2018 წლის 31 დეკემბერი	79	150	229
2019 წლის 31 დეკემბერი	65	129	194

2019 და 2018 წლების განმავლობაში, ამორტიზაციის ხარჯი 35 ათასი ლარის ოდენობით, აისახა ადმინისტრაციულ ხარჯებში (იხ. შენიშვნა 14).

6. მარაგები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	238	1,632
ნედლეული	2,130	356
დაუმთავრებელი წარმოება	14	5
სხვა	637	477
	3,019	2,470

2019 წლის განმავლობაში ხარჯად აღიარდა 33,749 ათასი ლარის მარაგების თვითღირებულება (2018: 24,508 ათასი ლარი) (იხ.შენიშვნა 12).

კომპანიის მფლობელობაში არსებული მთლიანი მარაგები გამოყენებულია ბანკში კომპანიის სესხების უზრუნველსაყოფად (იხ. შენიშვნა 10).

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	3,840	2,035
სხვა მოთხოვნები	7	57
	3,847	2,092

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად.

მოთხოვნების დაფარვის ვადა შეადგენს 23 დღეს (2018: 26 დღე). სავაჭრო მოთხოვნებზე არ ხდება პროცენტის დარიცხვა.

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ხანდაზმულობა არ აღემატება 365 დღეს. კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუქმნია ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, ვინაიდან არ ყოფლა გაუფასურების მაჩვენებლი, ან რაიმე სხვა გარემოება რაც ეჭვს გამოიწვევდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ამოღებასთან დაკავშირებით.

ყველა მოთხოვნა დენომინირებულია ლარში.

8. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
საბანკო ანგარიშები	94	88
ფული ხელზე	7	4
	101	92

ყველა ფულადი ერთეული დენომინირებულია ლარში.

9. კაპიტალი და რეზერვები

9.1 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი, 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 2,150 ათას ლარს (2018 წლის 31 დეკემბერი: 2,150 ათასი ლარი).

9.2 დივიდენდები

2019 წელს გამოცხადდა 2,180 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდი. 2018 წელს გამოცხადებული დივიდენდი შეადგენდა 3,274 ათას ლარს.

9.3 გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვი წარმოიშობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან. როდესაც გადაფასებული მიწა და შენობები იყიდება, წილი ამ აქტივთა გადაფასების რეზერვიდან, რომელიც რეალიზებულ იქნა, პირდაპირ გადადის აკუმულირებულ მოგება-ზარალზე.

10. სესხები

ათასი ლარი

	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	1,466	938	2,740	2,289
არაუზრუნველყოფილი სესხები მოკავშირე მხარეებისგან	32	302	1,360	-
	1,498	1,240	4,100	2,289

სესხები არის 1-დან 6 წლამდე ვადიანობის და აქვთ საშუალო წლიური 9.14%-იანი (ფიქსირებული) განაკვეთი, მიბმული საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების, ან EURIBOR-ის 6 თვის განაკვეთზე. (2018: წლიური 10.3%).

საბანკო სესხები აღებულია თიბისი ბანკის საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების საფუძველზე. სესხებს უზრუნველყოფილია კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებებითა და მარაგებით (იხილეთ შენიშვნა 4 და 6).

სესხები სავალუტო კურსების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19 a)-ში.

სესხები სავალუტო და საპროცენტო რისკების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19 a)-ში.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	2,365	2,056
საგადასახადო ვალდებულება	167	115
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	87	172
	2,619	2,343

საქონლის შეძენის საშუალო საკრედიტო პერიოდი შეადგენს 0.9 თვეს (2018: 1.1 თვე). სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხებათ.

კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის რისკის მიმართ იხილეთ შენიშვნა 19 a)-ში.

12. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
წარმოებაში გახარჯული მარაგები	19,793	13,158
გასაყიდად შეძენილი საქონლის თვითღირებულება	9,888	8,384
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯი	1,467	1,148
ცვეთის ხარჯი (იხ. შენიშვნა 4)	860	555
კომუნალური ხარჯები	712	552
დამატებითი მასალები	445	188
რემონტისა ხარჯი	-	48
სხვა	584	475
	33,749	24,508

13. დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მარკეტინგის ხარჯები	4,764	2,637
საწვავის ხარჯები	573	641
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯი	203	65
საოპერაციო იჯარის ხარჯები	71	69
სარეკლამო ხარჯები	19	-
	5,630	3,412

14. ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯი	2,705	2,388
ცვეთა და ამორტიზაცია (იხ. შენიშვნა 4 და 5)	400	411
რემონტი	207	179
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება	91	99
მარაგების ჩამოწერის ზარალი	-	169
საოფისე ხარჯი	35	62
კომუნალური ხარჯი	22	22
მივლინების ხარჯები	17	-
სხვა ხარჯები	79	-
	3,556	3,330

15. ზარალი საკურსო სხვაობიდან

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით	(33)	(11)
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით	(279)	(91)
	(312)	(102)

16. შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გამოვლენა პანდემიად გამოაცხადა. გლობალურად, COVID-19– მა გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მნიშვნელოვანი შეფერხება და ეკონომიკური გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა, აქტივების ფასებით და ვალუტის გაცვლითი კურსების მომატებული ცვალებადობით. 2020 წლის მარტში, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ყველა კომერციული ბიზნესის შეჩერების შესახებ, გარკვეული გამონაკლისების გარდა, რომელიც მოიცავს საკვები პროდუქტებით მოვაჭრე დაწესებულებებს.

კომპანია არის ლიდერი ადგილობრივი საკვები პროდუქტების წარმოებასა და საცალო ვაჭრობის სფეროში ქართულ ბაზარზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ თავის ბიზნეს სექტორში შეფერხებები მინიმალურია. ამ დრომდე ნედლეულის მიწოდება სათანადოდ არის უზრუნველყოფილი და მოთხოვნაც კომპანიის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე შედარებით სტაბილურია. 2020 წლის მარტის ბოლოდან, როცა საქართველოს მთავრობამ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, კომპანია შეუფერხებლად ახორციელებდა რეალიზაციებს და განაგრძობდა მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ მარტის ბოლოდან და 2020 წლის აპრილის განმავლობაში, გაყიდვების მაჩვენებელი შემცირდა, ივნისიდან მაჩვენებელი ისევ გაიზარდა, ამიტომ სექტემბრისთვის, კომპანიის ხელმძღვანელობა გაყიდვების ჩვეულ დონეზე დაბრუნებას მოელის.

კომპანია ისევ მუშაობს იმგვარი სამუშაო პროცესის ორგანიზებაზე, რომელიც მისცემს მას საშუალებას გაუმკლავდეს გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

კომპანიისთვის უცხოელ თუ ადგილობრივ მომწოდებლებთან ხელშეკრულების პირობებში ცვლილებები არ მომხდარა.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შემდგომი გადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაოს ორგანიზებასა და კადრების უზრუნველყოფასთან:

- როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციამ, კომპანიამ გადაწყვიტა შეენარჩუნებინა ყველა თანამშრომელი და გადაეხადა ხელფასები სრულად;
- ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი მუშაობდა დისტანციურად, სახლიდან;
- კომპანიამ შექმნა სპეციალური გუნდი პანდემიასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინირებისთვის;
- სამუშაო პროცესის შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, კომპანიამ თანამშრომლები უზრუნველყო სატრანსპორტო მომსახურებით.
- კომპანიამ მომხმარებლების და თანამშრომლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შეასრულა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია.

17. მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

17.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული საბრიცხვო შეფასებები შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალური შედეგისგან.

შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროების მნიშვნელოვან რისკს, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ხელმძღვანელობას შეფასებული აქვს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებული ღირებულება

კომპანიის მიწის ნაკვეთები და შენობები აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით. ძირითადი საშუალებების კლასები გამოყოფილია დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლის ანგარიშის საფუძველზე, რომელმაც გადააფასა აღნიშნული აქტივები. გადაფასება მოითხოვს შეფასებებსა და დაშვებებს. ამგვარად, კომპანიის ძირითადი საშუალებების ფაქტიური სამართლიანი ღირებულება შესაძლოა განსხვავდებოდეს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ღირებულებებისგან.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

ხელმძღვანელობა აფასებს სასაქონლო მატერიალური მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებულ, ყველაზე სანდო მტკიცებულებაზე დაყრდნობით. მომავალში, ამ მარაგების რეალიზაციაზე გავლენა შეიძლება იქონიოს მომავალმა ტექნოლოგიურმა ან სხვა ბაზრის მამოძრავებელთა ცვლილებებმა, რომელთაც შესაძლოა შეამცირონ მომავალი გასაყიდი ფასები.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები

ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზნით გამოიყენა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა ფინანსურ ვალდებულებებზე და საპროცენტო ხარჯებზე იქონიოს გავლენა.

17.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

არსებობს ზოგადი განუსაზღვრელობა COVID 19-ის მომავალი გავრცელების შესახებ, მაგრამ ინდუსტრიის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელშიც კომპანია ოპერირებს (საკვების წარმოება), და მარტიდან, როცა მთავრობამ განსაკუთრებული ზომები მიიღო პანდემიის საპასუხოდ, ივნისამდე პერიოდში სიტუაციის გაუმჯობესების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის ფუნქციონირება მოქმედი საწარმოს პრინციპით, არ დგას რისკის ქვეშ. ხელმძღვანელობის აზრით, საკვები პროდუქტების წარმოება და მიწოდება არის ერთერთი ყველაზე ძირითადი და გადამწყვეტი ბიზნესის კატეგორია, რომელიც ყველაზე ცუდი სცენარის განვითარების შემთხვევაშიც კი განაგრძობს მუშაობას და საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერილი იქნება მთავრობის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ დედა და შვილობილი კომპანიები, საოპერაციო დონეებზე დრამატული ცვლილებების გარეშე განაგრძობენ საოპერაციო მოქმედებებს მომავალში, აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

18. ფინანსური ინსტრუმენტები

18.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.7-ში.

18.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები თითოეული კატეგორიისთვის წარმოდგენილია ცხრილში:

ფინანსური აქტივები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება		
სავაჭრო მოთხოვნები	3,847	2,092
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	101	92
	3,948	2,184

ფინანსური ვალდებულებები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება		
სესხები	5,598	3,529
სავაჭრო ვალდებულებები	2,365	2,056
	7,963	5,585

19. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და განსაკუთრებით საკურსო სხვაობების და საპროცენტო განაკვეთის რისკები, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

კომპანიის სავაჭრო ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტა ლარში. საკურსო სხვაობების რისკი ძირითადად წარმოიშობა კომპანიის სესხებისგან, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ქართულ ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

2019 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	-	3,233
სავაჭრო ვალდებულებები	-	2
	-	3,235
წმინდა პოზიცია	-	(3,235)

2018 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	1,230	2,025
	1,230	2,025
წმინდა პოზიცია	(1,230)	(2,025)

ცხრილი ასახავს კომპანიის მგრძნობიარობას ათასი ლარის 15%-იანი (2018: 15%) კლება/მატების გავლენას დოლართან მიმართებაში. აღნიშნული 15% (2018: 15%) არის ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის და ევროს გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2018: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარისა და ევროსთან მიმართებაში 15%-ით (2018: 15%), მაშინ აღნიშნულს ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათასი ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2019	2018	2019	2018
მოგება/ზარალი	-	185	485	304

სავალუტო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკის სიდიდე, წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებთან. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს კომპანიის სავალუტო რისკთან მიმართებით კავშირს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხები წარმოდგენილია როგორც მცურავი, ასევე ფიქსირებული განაკვეთით. კომპანიის მიერ იმართება ეს რისკი შესაბამისი ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთის სესხების თანაფარდობით.

შემდეგი ცხრილი მოიცავს საშუალო კონტრაქტის და ეფექტური პროცენტის განაკვეთს:

2019	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
არაუზრუნველყოფილი სესხები		
ლარი	12.42%	12.59%
უზრუნველყოფილი სესხები		
ევრო	7.00%	6.85%

2018	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
ვალდებულებები	კონტრაქტით	ეფექტური
არაუზრუნველყოფილი სესხები		
ლარი	9.00%	10.30%
დოლარი	8.00%	9.00%
უზრუნველყოფილი სესხები		
ევრო	10.00%	11.00%

როგორც შენიშვნა 10-შია აღწერილი, საპროცენტო განაკვეთები მოიცავს როგორც მცოცავ, ასევე ფიქსირებულ განაკვეთებს - ფიქსირებულ განაკვეთებს დამატებული საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების, ან EURIBOR-ის განაკვეთები. მგრძნობელობის ანალიზი არ არის წარმოდგენილი, ვინაიდან მოსალოდნელი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არამატერიალურია.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია განიცდის საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებისგან, რომლებიც მოიცავენ ფულს საბანკო ანგარიშებზე, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

საკრედიტო რისკის მართვა კომპანიის მხრიდან ხორციელდება საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებზე დაყრდნობით.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა წარმოდგენილია შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებზე.

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები საბალანსო ღირებულებით		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,847	2,092
საბანკო ანგარიშები	94	88
	3,941	2,180

ანგარიშგების თარიღისათვის არ არსებობდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებზე უმნიშვნელოა, ვინაიდან მხარეები რეპუტაციულ ბანკებს წარმოადგენენ.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივატული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფულად ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2019 ათასი ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)		9.14%	
6 თვეზე ნაკლები	2,365	1,389	3,754
6 თვიდან 1 წლამდე	-	423	423
1-5 წლამდე	-	4,431	4,431
5 წელზე მეტი	-	425	425
	2,365	6,668	9,033

2018 ათასი ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)		10.30%	
6 თვეზე ნაკლები	2,056	1,558	3,614
6 თვიდან 1 წლამდე	-	1,593	1,593
1-5 წლამდე	-	2,034	2,034
5 წელზე მეტი	-	102	102
	2,056	5,287	7,343

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად.

20. რეალური ღირებულების შეფასება

კომპანია ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2- სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულების
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

20.1 ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შეფასება

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიას არ აქვს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები.

საბანკო სესხების საბალანსო ღირებულება ითვლება მის რეალურ ღირებულებასთან გონივრულად მიახლოებულ მაჩვენებლად.

20.2 არაფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შეფასება

კომპანიის მიწის ნაკვეთები და შენობები წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით. მათი შეფასებული რეალური ღირებულება ხვდება კატეგორიების მე-3 საფეხურზე. ამ აქტივთა სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია დამოუკიდებელი, კვალიფიციური უძრავი ქონების შემფასებლების მიერ, რომელთაც გააჩნიათ საჭირო ლიცენზია. მნიშვნელოვანი მონაცემები და მოსაზრებები ჩამოყალიბებულია ხელმძღვანელობასთან მჭიდრო კონსულტაციით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ.

აქტივები რეალური ღირებულებით	სულ	აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასები (დონე 1)	მნიშვნელოვანი დაკვირვებადი მონაცემები (დონე 2)	მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი მონაცემები (დონე 3)
მიწა	153	-	-	153
შენობები	2,791	-	-	2,791

მიწის ნაკვეთები და შენობები ფლობილი ადმინისტრაციული მიზნებისთვის (დონე 3)

შეფასება ჩატარდა საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს ოპერაციების ფასების შესწავლას მიმდინარე ბაზარზე არსებულ მსგავს ქონებაზე და აერთიანებს საკვლევ მიწის ნაკვეთებზე და შენობებზე არსებულ სპეციფიკური ფაქტორების კორექტირებებს, როგორებიცაა: ნაკვეთის ზომა, ადგილ-მდებარეობა, გირაოთი დატვირთულობა და გამოყენებითი დანიშნულება. მიწა შეფასდა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მნიშვნელოვანი მონაცემი, რომელზე დაკვირვებაც ვერ ხდება, არის საკვლევი მიწის ნაკვეთების სფეციფიკური ფაქტორების კორექტირება. ამ კორექტირებების ზომა და მიმართულება დამოკიდებულია მსგავსი თვისებების მქონე საკვლევი საბაზრო ოპერაციების რაოდენობასა და მახასიათებლებზე, რომლებიც დაკავშირებულია შესადარის ქონებებთან, რომლებიც შეფასების პროცედურის საწყისი წერტილია. ამასთანავე, რადგან აღნიშნული მონაცემი სუბიექტური მსჯელობის საგანია, ხელმძღვანელობა თვლის, რომ სხვა გონივრულად შესაძლო ალტერნატიულ შეფასებებს, არ ექნება არსებითი გავლენა მთლიანი შეფასების შედეგზე.

21. კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და აქციონერებსაც ადეკვატური უკუგება აჩვენოს.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც თავის თავში მოიცავს საწესდებო კაპიტალს, აკუმულირებულ მოგებას და რეზერვებს, რომლებიც მოიცავს სესხებს. მათი დეტალები წარდგენილია შესაბამისად შენიშვნა 10-ში.

კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის ცვლილებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს კაპიტალის მაფორმირებელ აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან ცვლილების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა, გაზარდოს კაპიტალი, აიღოს ახალი სესხები ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის წარმოდგენილია

შემდგენაირად:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	7,427	6,398
გამოკლებული: ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	(101)	(92)
კაპიტალი	7,326	6,306
მთლიანი კაპიტალი	7,427	6,398
სესხები	5,598	3,529
სრული ფინანსირება	13,025	9,927
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.56	0.64

22. გაუთვალისწინებელი გარემოებები

22.1 ბიზნეს გარემო

საქართველო განაგრძობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებეს. როგორც განვითარებადი ბაზარი. საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლებაა ცენტრალიზებული ეკონომიკური სტრუქტურას, რეგიონალურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე.

კოვიდ 19-ის პანდემიის გამო, იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან და რომლებზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, გამოიწვია ფულადი გზავნილების შემცირება საზღვარგარეთიდან. მომავალში სამთო პროდუქტებზე საერთაშორისო ფასების შემცირებამ, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციების შესაძლო მოზიდვასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობებმა, ინფლაციამ, ქართული ვალუტის მნიშვნელოვანმა დამოკიდებულებამ ამერიკულ დოლარზე და საქართველოს მთავრობის მიერ COVID 19-ის საპასუხოდ მიღებულმა გამკაცრებულმა ზომებმა, შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. მიუხედავად იმისა, რომ ეს განუსაზღვრელობა მოიცავს მრავალ დაშვებებს და ვარაუდებს, ხელმძღვანელობას არ შეუძლია კომანიის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე გავლენის შეფასება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

22.2 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას ამ ეტაპზე სრულად დაზღვეული არ აქვს თავისი ძირითადი მოწყობილობები, ბიზნესის შეფერხება, კომპანიის ქონებით ან საქმიანობით გამოწვეული მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობა ქონებისთვის ან გარემოსთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში. სანამ კომპანია არ მოიპოვებს შესაფერის

სადაზღვეო დაფარვას, არსებობს რისკები იმისა, რომ აქტივების დაზიანება ან განადგურება მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობას.

22.3 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან კანონით დაარიცხონ ჯარიმები და საურავები.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ყველა მოთხოვნასა და განმარტებასთან შესაბამისად. თუმცა, შესაძლოა, რომ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხზე განსხვავებული განმარტებები გააკეთონ, რა შემთხვევაშიც ეფექტი კომპანიაზე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

23. ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

კომპანიის ვალდებულებები წარმოქმნილი საფინანსო საქმიანობიდან შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	მოკლევადიანი სესხები	გრძელვადიანი სესხები	სულ
2018 წლის 1 იანვარი	346	1,191	1,537
ფულადი ნაკადების მოძრაობა			
სესხის აღება	16,086	2,090	18,176
სესხის დაფარვა	(16,084)	(195)	(16,279)
გადახდილი პროცენტი	(226)	-	(226)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა			
დარიცხული პროცენტი	151	75	226
ზარალი საკურსო სხვაობიდან	39	56	95
რეკლასიფიკაცია	928	(928)	-
2018 წლის 31 დეკემბერი	1,240	2,289	3,529
ფულადი ნაკადების მოძრაობა			
სესხის აღება	23,045	1,457	24,502
სესხის დაფარვა	(22,352)	(392)	(22,744)
გადახდილი პროცენტი	(172)	(219)	(391)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა			
დარიცხული პროცენტი	172	254	426
ზარალი საკურსო სხვაობიდან	-	276	276
რეკლასიფიკაცია	(435)	435	-
2019 წლის 31 დეკემბერი	1,498	4,100	5,598

24. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მისი მშობელი კომპანია, შვილობილები, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და კომპანიის ხელმძღვანელობა.

24.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიას მართავს სს "ნიკორა", რომელიც ფლობს მისი აქციების 100%-ს. კომპანიის უმსხვილეს აქციონერს წარმოადგენს ვასილ სუხიაშვილი, ვინც ჯგუფის აქციების 29%-ს ფლობს.

24.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან აქვს შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები:

ათასი ლარი

ტრანზაქციები	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ		
საქონლის რეალიზაცია	25,172	16,709
მომსახურების გაწევა	286	176
სესხების აღება	-	249
მარაგებისა და ნედლეულის შესყიდვა	19,028	23,355
მომსახურების შეძენა	3,632	2,099
ძირითადი საშუალების შეძენა	13	24

ათასი ლარი

ბალანსები	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,805	861
სესხები	(1,360)	(1,230)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(836)	(1,029)

24.3 გარიგებები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა სარგებელში, მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და ბონუსები	163	154

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება „კორიდა“



მმართველობის ანგარიშგება

2019 წელი

შინაარსი

1. საქმიანობის მიმოხილვა 4

1.1. შპს „კორიდა"-ს შესახებ მოკლედ 4
1.2. კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია 5
1.3. ბრენდების მიმოხილვა 5
1.4. ძირითადი ბაზრები 6
1.5. ბიზნესი და ოპერაციები 6
1.5.1. ბიზნეს მოდელი 6
1.5.2. განვითარების სტრატეგია 6
1.6. ფინანსური ინფორმაცია 7
1.6.1. შპს „კორიდა"-ს ფინანსური ანგარიშგებები 7
1.6.2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა 11
1.6.3. მოგება-ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა 12
1.7. ფინანსური რისკების მართვა 13
1.7.1. საბაზრო რისკი 13
1.7.2. საკრედიტო რისკი 15
1.7.3. ლიკვიდურობის რისკი 15
1.7.4. კაპიტალის რისკის მართვა 16

წარმომადგენლობა

წინამდებარე „მმართველობის ანგარიშგება“ მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კორიდა“-ს მიერ, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე.

რევაზ წარმანია

დირექტორი

შპს „კორიდა“

1. საქმიანობის მიმოხილვა

1.1. შპს „კორიდა“-ს შესახებ მოკლედ

შპს“კორიდა“ დაარსდა 2006 წელს და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ხორცპროდუქტების წარმოება. „კომპანია“ აწარმოებს სხვადასხვა დასახელების სოსისსა და სარდელს, მოხარშულ და შებოლილ ძეხვეულს, მრავალი სახეობის შაშხს და დელიკატესს, ასევე აწარმოებს ნახევარფაბრიკატებს. დღესდღეობით „კომპანია“ აწარმოებს 100-მდე სახეობის ხორცპროდუქტს და 10-მდე სახეობის ნახევარფაბრიკატს, ბრენდის ასორტიმენტი მოიცავს, როგორც ტრადიციულ ქართულ, ასევე კარგად ცნობილ ევროპისა და სხვა ქვეყნების პროდუქტებს.

შპს “კორიდა” წარმოადგენს სს „ნიკორა“-ს შვილობილ კომპანიას; სს „ნიკორა“ ამჟამად არის საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი ჰოლდინგი (ჯგუფი), რომელიც აერთიანებს ქვეყნის ყველაზე ფართო სუპერმარკეტების ქსელის მქონე კომპანიას, აგრეთვე ხორცპროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, თევზეულის, რძის ნაწარმის, ნაყინის, პურ-ფუნთუშეულის, სალათების, გაყინული საკონდიტრო პროდუქციისა და ღვინის საწარმოებს, კვების პროდუქტებისა და სასმელების იმპორტიორ კომპანიებს.

შპს „კორიდა“ წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპანიას ჰოლდინგ ნიკორას შემადგენლობაში.

შპს კორიდა - ძირითადი მაჩვენებლები

წლიური შედეგები ('000 ₾)	2018	2019	ცვლ.(%)
შემოსავალი რეალიზაციიდან	35522	47588	-25.36%
საერთო მოგება	11014	13839	-20.41%
წლის მოგება	3093	2952	4.78%
აქტივები და ვალდებულებები ('000 ₾)	**2018**	**2019**	**ცვლ.(%)**
სულ აქტივები	12277	15670	-21.65%
სულ ვალდებულებები	5879	8225	-28.52%
სულ კაპიტალი	6398	7445	-14.06%
ფინანსური მაჩვენებლები	**2018**	**2019**	**ცვლ.(%)**
საერთო მოგების მარჟა (%)	31	29.1	6.53%
მოგების მარჟა (%)	8.7	6.2	40.32%
უკუგება კაპიტალზე (%)	48.4	39.7	21.91%
არაფინანსური მაჩვენებლები	**2018**	**2019**	**ცვლ.(%)**
დასაქმებულთა რაოდენობა	312	360	7.50

1.2. კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია

შპს „კორიდა“ წარმოადგენს სს „ნიკორას“ ჰოლდინგში შემავალ კომპანიას, რომელიც აწარმოებს ხორცპროდუქტებს „კორიდას“ ბრენდით (აგრეთვე მცირე მასშტაბით „ნიკორას“ ბრენდით) და ნახევარფაბრიკატებს „მზარეულის“ ბრენდით. მზა პროდუქციის დღიური გამომუშავება საშუალოდ ხორცპროდუქტებში შეადგენს 21-22 ტონას, ხოლო ნახევარფაბრიკატების 1-2 ტონას.

პროდუქციის რეალიზაციას „კომპანია“ ახდენს როგორც ნიკორას ჰოლდინგში შემავალ კომპანიებზე, აგრეთვე გარე სავაჭრო ობიექტებში საკუთარი სადისტრიბუციო ავტომობილებით.

შპს „კორიდა“-ს მიერ „კორიდას“ ბრენდით წარმოებული პროდუქცია ორიენტირებული ხორცპროდუქტების საშუალო-ფასიან სეგმენტზე.

„კომპანია“ ფლობს ISO 9001: 2008 და ISO 22000: 2005 (HACCP) სერტიფიკატებს.

„კომპანია“ დაარსების დღიდან ყოველწლიურად ვითარდება და იზრდება, ორიენტირებულია პროდუქციის ასორტიმენტის ზრდისკენ და ბიზნესის განვითარებისკენ.

1.3. ბრენდების მიმოხილვა

შპს „კორიდა“, მისი მშობელი კომპანიის - სს „ნიკორას“ და აგრეთვე ჰოლდინგში შემავალი სხვა კომპანიების განვითარებასთან ერთად, ეტაპობრივად იხვეწებოდა და უფრო მაღალ დონეზე ადიოდა, როგორც ზოგადად მართვა და ეფექტურობა, აგრეთვე წარმოების ხარისხიც. წლების განმავლობაში ხარისხის დონის, სწორი საფასო პოლიტიკის, ფართო არჩევანისა და ადგილობრივ მოსახლეობაზე მორგებულ საგემოვნო თავისებურებების შედეგად შპს „კორიდა“-ს მიერ „კორიდას“ ბრენდით წარმოებული პროდუქცია მაღალი პოპულარობით სარგებლობს მომხმარებლებში და თავად ბრენდი „კორიდაც“ იქცა ერთ-ერთ ყველაზე ცნობად სავაჭრო ნიშნად.

„კომპანიის“ პროდუქცია შემდეგი სავაჭრო ნიშნებით (ბრენდებით) იწარმოება:



წარმოების უდიდესი წილი კორიდას ბრენდით წარმოებულ ხორცპროდუქტებზე მოდის, მათ შორის: ნახევრად-შებოლილი და მოხარშული ძეხვეული, სოსისები, სარდელები, შაშხი და სხვა.



ნახევარფაბრიკატები: ქართული, რუსული და ევროპული სამზარეულოების ტრადიციულ კერძები (ხინკალი, პელმენი, ბლინი, და სხვა პროდუქცია).



ნიკორას ბრენდით მცირე მასშტაბით და მხოლოდ რამდენიმე სახეობის ხორცპროდუქტი იწარმოება.

1.4. ძირითადი ბაზრები

შპს „კორიდა“-სთვის ხორცპროდუქტების წარმოება ბიზნესის უმთავრეს საქმიანობას წარმოადგენს, რომლითაც ადგილობრივი ბაზრის მნიშვნელოვანი წილი უკავია. ასევე ვაწარმოებთ ნახევარფაბრიკატებს და ვცდილობთ მნიშვნელოვანი წილი დავიკავოთ ადგილობრივ ბაზარზე.

1.5. ბიზნესი და ოპერაციები

1.5.1. ბიზნეს მოდელი

შპს „კორიდა“-ს პროდუქციის ბაზარს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორია, საქართველოს ბაზარზე პროდუქციის მიწოდება ნაწილობრივ ხორციელდება სს „ნიკორას“ შვილობილი კომპანიების მეშვეობით: სს „ნიკორა ტრეიდი“ ახდენს პროდუქციის რეალიზაციას ნიკორას საფირმო მაღაზიებში, ხოლო შპს პარტნიორი გარე საცალო ქსელში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, “კორიდა”-ს პროდუქციის მიწოდება ხორციელდება მისივე საკუთარი სადისტრიბუციო ავტომობილებით.

ნედლეულის შეძენას „კომპანია“ ახდენს როგორც ადგილობრივ ასევე უცხოურ ბაზარზე. მომწოდებლები არიან როგორც ადგილობრივი ქართული, ასევე საერთაშორისო კომპანიები.

მსხვილი შესყიდვების დროს „კომპანია“ ცდილობს მომწოდებლების დიდი დიაპაზონისგან მიიღოს საუკეთესო ფასები და ხარისხი. „კომპანია“ შესყიდვების პროცესის დროს უზრუნველყოფს, რომ შეიქმნას კონკურენტული გარემო პოტენციურ კონტრაქტორებს შორის რათა მიღწეულ იქნას საუკეთესო საბაზრო ფასი.

ადგილობრივი პროდუქციის გასაყიდი ფასი ფორმირდება დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლებისა და კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით.

1.5.2. განვითარების სტრატეგია

უახლოეს მომავალში „კომპანია“ გეგმავს ასორტიმენტის გაფართოებას, ახალი პროდუქტების დამატებას, როგორც ხორცპროდუქტების ასევე ნახევარფაბრიკატების მიმართულებით, ასევე „ნიკორა ტრეიდის“ მიერ საფირმო მაღაზიების გაფართოების შედეგად, იზრდება წარმოებული პროდუქციაზე მოთხოვნა, შესაბამისად „კომპანია“ გეგმავს წარმოების გაფართოებას, რათა უზრუნველყოს გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

1.6. ფინანსური ინფორმაცია

შპს "კორიდა"-მ 2017 წელს პირველად წარადგინა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ მისი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც აუდირებული იყო -„Grant Thornton International"-ის წევრი შპს „გრანტ თორნტონის" მიერ და 2019 წელსაც წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას რომელიც აუდირებულია , -„Grant Thornton International"-ის წევრი შპს „გრანტ თორნტონის" მიერ . „კომპანია" წინა წლებშიც ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებებს ფასს სტანდარტებით, დედა კომპანიის მოთხოვნით, რომელიც, თავის მხრივ, ამზადებდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ხოლო მის აუდიტს ახორციელებდა - აგრეთვე „Grant Thornton International"-ის წევრი შპს „გრანტ თორნტონი" .

1.6.1. შპს „კორიდა"-ს ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი სამუალებები	8,190	6,830
არამატერიალური აქტივები	194	229
	8,384	7,059
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	3,019	2,470
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,847	2,092
სხვა მიმდინარე აქტივები	319	564
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	101	92
	7,286	5,218
სულ აქტივები	15,670	12,277
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი და რეზერვები		
საწესდებო კაპიტალი	2,150	2,150
გადაფასების რეზერვი	1,367	1,092
აკუმულირებული მოგება	3,928	3,156
	7,445	6,398
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები	4,100	2,289
	4,100	2,289
მიმდინარე ვალდებულებები		

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,619	2,343
სესხები	1,498	1,240
მიმდინარე მოგების გადასახადი	8	7
	4,125	3,590
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	15,670	12,277

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება:

ათასი ლარი

	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი	47,588	35,522
რეალიზაციის თვითღირებულება	(33,749)	(24,508)
საერთო მოგება	13,839	11,014
სხვა შემოსავალი	49	114
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	(5,630)	(3,412)
ადმინისტრაციული ხარჯები	(3,556)	(3,330)
სხვა ხარჯები	(875)	(629)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	3,827	3,757
ფინანსური ხარჯები	(426)	(226)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(312)	(102)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(73)	(213)
მოგება დაბეგვრამდე	3,016	3,216
მოგების გადასახადი	(64)	(123)
წლის წმინდა მოგება	2,952	3,093
წლის სხვა სრული შემოსავალი		
მუხლები რომლებიც მომავალში არ გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალში		
ძირითადი საშუალებების გადაფასება	275	-
მთლიანი სრული შემოსავალი	3,227	3,093

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება:

ათასი ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული მოგება	სულ
2018 წლის 1 იანვარი	700	1,092	3,337	5,129
წლის მოგება	-	-	3,093	3,093
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	-	3,093	3,093
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,450	-	-	1,450
დივიდენდები	-	-	(3,274)	(3,274)
ტრანზაქციები მფლობელებთან	1,450	-	(3,274)	(1,824)
2018 წლის 31 დეკემბერი	2,150	1,092	3,156	6,398
წლის მოგება	-	-	2,952	2,952
სხვა სრული შემოსავალი	-	275	-	275
მთლიანი სრული შემოსავალი	-	275	2,952	3,227
დივიდენდები	-	-	(2,180)	(2,180)
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	-	(2,180)	(2,180)
2019 წლის 31 დეკემბერი	2,150	1,367	3,928	7,445

ფულადი ნაკადების ანგარიშგება:

ათასი ლარი

	2019 წელი	2018 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	2,952	3,093
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,260	966
ფინანსური ხარჯი	426	226
მოგების გადასახადის ხარჯი	64	123
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება	(5)	(3)
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	312	102
საოპერაციო შედეგი საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	5,009	4,507
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(1,755)	(675)
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	(549)	(1,026)
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში	245	(439)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	276	31
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	3,226	2,398
გადახდილი პროცენტი	(391)	(226)
გადახდილი მოგების გადასახადი	(63)	(126)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	2,772	2,046
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,334)	(2,448)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	26	267
წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(2,308)	(2,181)

1.6.2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა

კომპანიის აქტივები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ სრულმა აქტივებმა 15 მილიონი ლარი შეადგინა, წინა წელს ეს მაჩვენებელი 12 მილიონი ლარი იყო. აქტივების ზრდა განპირობებული იყო როგორც მანქანა დანადგარების განახლებით და ახალი თანამედროვე დანადგარების შეძენით, აგრეთვე მიმდინარე აქტივების ზრდით.

გრძელვადიანი აქტივები წარმოადგენს ჯამური აქტივების ყველაზე დიდ ნაწილს (52%), ეს განპირობებულია „კომპანიის“ სპეციფიკით, შპს "კორიდა" საწარმოო კომპანიაა და სწორედ ამიტომ, მისი აქტივების უდიდესი ნაწილი უჭირავს ძირითად საშუალებებს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ჯამური აქტივების 19 %-ს შეადგენს. 2018 წელთან შედარებით მარაგების მოცულობა, უმნიშვნელოვნად, 1%-ით შემცირდა. გაიზარდა წილობრივი მაჩვენებელი მთლიან აქტივებში; აღნიშნული განპირობებულია „კომპანიის“ გაფართოებით და გაყიდვების არეალის ზრდით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	2019	2018
ღირებულება (ათასებში)	3019	2470
მიმდინარე აქტივების ნაწილი	42 %	47%
სრული აქტივების ნაწილი	19%	20%

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები ჯამური აქტივების 25%-ს შეადგენდა 2019 წლის ბოლოს (2018 წლის ბოლოს 17%); „კომპანიის“ დებიტორების უდიდეს ნაწილს შეადგენს სს „ნიკორა“-ს ჰოლდინგში შემავალი შვილობილი კომპანიები.

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენენ „კომპანიის“ საბრუნავი კაპიტალის ძირითად კომპონენტს და მიმდინარე ვალდებულებების უდიდეს ნაწილს. სავაჭრო ვალდებულებები, 2019 წლის ბოლოს, 64%-ს შეადგენდა. თანხობრივი მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია ნიკორას საქმიანობის გაფართოებით და ეფექტურობით. ბაზარზე პოზიციების გამყარების კვალობაზე, „კომპანიას“ საშუალება მიეცა უკეთესი პირობები მიეღო სავაჭრო პარტნიორებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები	2019	2018
ღირებულება (ათასებში)	2619	2,343
მიმდინარე ვალდებულებების ნაწილი	64%	65%

სესხები:

ათასი ლარი

	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	1,466	938	2,740	2,289
არაუზრუნველყოფილი სესხები მოკავშირე მხარეებისგან	32	302	1,360	-
	1,498	1,240	4,100	2,289

გრძელვადიანი სესხების სამართლიანი ღირებულება უტოლდება საბალანსო ღირებულებას, რადგან დისკონტირების გავლენა უმნიშვნელოა.

კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი იყო 2,150 ათასი ლარი. 2018 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალი იყო 2150 ათასი ლარი

1.6.3. მოგება-ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

2019 წელს, რეალიზაციამ 47.6 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 34%-იან ზრდას შეადგენს წინა წელთან მიმართებით; 2018 წლისთვის „კომპანიის“ გაყიდვები 35.5 მილიონი იყო.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და საერთო მოგება:

ათასი ლარი

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
წარმოებაში გახარჯული მარაგები	19,793	13,158
გასაყიდად შეძენილი საქონლის თვითღირებულება	9,888	8,384
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯი	1,467	1,148
ცვეთის ხარჯი	860	555
კომუნალური ხარჯები	712	552
დამატებითი მასალები	445	188
რემონტისა ხარჯი	-	48
სხვა	584	475
	33,749	24,508

„კომპანი“-ის მომწოდებლები ნედლეულის მნიშვნელოვან ნაწილს ყიდულობენ უცხოურ ბაზარზე, სწორედ აქედან გამომდინარე წინა წელს გამოწვეულმა უცხოური ვალუტის ცვლილებებმა და შესყიდვის ბაზარზე ფასების ზრდამ გარკვეული გავლენა მოახდინა საერთო მოგების მარჟაზე, თუმცა, მომწოდებლებთან, მიმდინარე წელს, ფასების ნაწილში,

დადებითი სტატისტიკა აღინიშნა, რაც პოზიტიურად აისახა 2019 წლის საერთო მოგების მარჟაზე.

საოპერაციო ხარჯები და მოგება საოპერაციო საქმიანობიდან:

ათასი ლარი	2019 წელი	2018 წელი
სულ შემოსავალი	47,588	35,522
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	-33,749	-24,508
საერთო მოგება	**13,839**	**11,014**
სხვა შემოსავალი	49	114
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი	-5,630	-3,412
ადმინისტრაციული ხარჯი	-3,556	-3,330
სხვა ხარჯი	-875	-629
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	**3,827**	**3,757**
საოპერაციო მოგების მარჟა	8,04%	10,58%

„კომპანიის“ საოპერაციო ხარჯების შემადგენელი ნაწილების დინამიკა:

- ბაზარზე გაზრდილი კონკურენციის პირობებში, 2019 წელს შეიცვალა ძირითადი მყიდველებისთვის მარკეტინგული ხარჯების (ე. წ. რეტრო ბონუსები) ანაზღაურების პოლიტიკა, რამაც გამოიწვია აღნიშნული ხარჯის ზრდა;
- ადმინისტრაციულმა ხარჯებმა 2018 წელს 3,3 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2019 წელს 3.5 მილიონამდე გაიზარდა, უმეტეს წილად მარკეტინგული ხარჯების გამო.

არასაოპერაციო ხარჯები და წლის მოგება:

არასაოპერაციო ხარჯები 2019 წელს შემცირდა და ნაწილობრივ დააკომპენსირა მარკეტინგული ხარჯებით გაუარესებული მომგებიანობა.

1.7. ფინანსური რისკების მართვა

1.7.1. საბაზრო რისკი

„კომპანიის“ საბაზრო რისკი უმთავრესად წარმოიშობა ლარის გაცვლითი კურსის და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისგან, რომელიც მომდინარეობს საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობებიდან.

„კომპანიის“ სავაჭრო ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტა ლარში. საკურსო სხვაობების რისკი ძირითადად გამოწვეულია „კომპანიის“ სესხებით, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს „კომპანიის“ სავალუტო რისკს, განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ქართულ ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

2019 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	-	3,233
სავაჭრო ვალდებულებები	-	2
	-	3,235
წმინდა პოზიცია	-	(3,235)

2018 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	1,230	2,025
	1,230	2,025
წმინდა პოზიცია	(1,230)	(2,025)

საანგარიშგებო პერიოდში „კორიდა“ არ ახდენდა უცხოური ვალუტის რისკების ჰეჯირებას. შემდეგ ცხრილში მოცემულია ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის თეორიული 15%-ანი გამყარების შედეგი „კომპანიის“ მოგება-ზარალზე. მაგალითი საილუსტრაციოა, რადგან რეალური შედეგი დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებზე და ნაშთებზე:

ათასი ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2019	2018	2019	2018
მოგება/ზარალი	-	185	485	304

1.7.2. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც „კომპანია“ მიიღებს ფინანსურ ზარალს. ამ რისკის ეფექტი წარმოიქმნება სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებისაგან, მაგალითად მოთხოვნებისაგან.
„კომპანიისთვის“ მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები საბალანსო ღირებულებით		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,847	2,092
საბანკო ანგარიშები	94	88
	3,941	2,180

ფინასური ანგარიშგების გამოშვების თარიღისათვის არ იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.
საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან აღნიშნული ბანკები წარმოადგენენ კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებს.

1.7.3. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადამოსული ვალდებულებები.

„კომპანია“ ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდურობის აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლეს თარიღზე, როდესაც შეიძლება „კომპანიის“ მიმართ მოთხოვნილი იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება.

ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირითად თანხას, ასევე პროცენტს:

2019 ათასი ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)		9.14%	
6 თვეზე ნაკლები	2,365	1,389	3,754
6 თვიდან 1 წლამდე	-	423	423
1-5 წლამდე	-	4,431	4,431
5 წელზე მეტი	-	425	425
	2,365	6,668	9,033

1.7.4. კაპიტალის რისკის მართვა

„კომპანია“ ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

„კომპანიის“ კაპიტალის სტრუქტურა შედგება: საკუთარი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, და აკუმულირებულ მოგებას, და მოზიდული სახსრებისაგან.

„კომპანიის“ მენეჯმენტი აფასებს „კომპანიის“ კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. „კომპანია“ მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილების გათვალისწინებით.

თანხები, რომლებსაც „კომპანია“ კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	7,427	6,398
გამოკლებული: ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	(101)	(92)
კაპიტალი	7,326	6,306
მთლიანი კაპიტალი	7,427	6,398
სესხები	5,598	3,529
სრული ფინანსირება	13,025	9,927
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.56	0.64